საქართველოს პარლამენტის ბიუროს

მოქალაქე **ნიკოლოზ ნიკოლაძის** პ/N
[redacted] ტელ.: [redacted]
ელ. ფოსტა: [redacted]

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 105-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საკანონმდებლო წინადადებას „ დიპლომატიური სამსახურის შესახებ " საქართველოს კანონით რეგულირებულ იმ საკითხ(ებ)თან დაკავშირებით, რომლებთან მიმართებითაც ვფიქრობ, რომ საჭიროებს შემდომ დახვეწას.

დანართი:

- ✓ საკანონმდებლო წინადადება — დიპლომატიურ სამსახურში თანაბარ პირობებში დასაქმების მექანიზმის დახვეწის შესახებ.

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს.№ 1-7692/23
"01" 06 2023წ. ფურცლ. 20

<u>საქართველოს პარლამენტს</u>

საკანონმდებლო წინადადება

დიპლომატიურ სამსახურში თანაბარ პირობებში დასაქმების

მექანიზმის დახვეწის შესახებ

- **ცვლილების სახეობა:** დიპლომატიური სამსახურის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ.
- **კანონის პროექტის მიღების დასაბუთება:** დიპლომატიური სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,სამინისტროს დიპლომატიურ თანამდებობაზე დანიშვნა ხდება გადაყვანის წესით, კონკურსის წესით ან უკონკურსოდ. ამავე კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, უკონკურსოდ დანიშვნა შეიძლება სამინისტროს შემდეგ დიპლომატიურ თანამდებობებზე:

ა) მინისტრის მოადგილე;
ბ) სამინისტროს გენერალური დირექტორატის გენერალური დირექტორი;
გ) სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორი, სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, **მინისტრის სამდივნოს უფროსი;**
დ) **<u>სამინისტროს დეპარტამენტში შემავალი სამმართველოს უფროსი;</u>**
ე) საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი;
ვ) საერთაშორისო ორგანიზაციასთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი;
ზ) საერთაშორისო ორგანიზაციასთან საქართველოს წარმომადგენელი;
თ) საგანგებო დავალებათა ელჩი.

საგულისხმოა, რომ, განსხვავებით სამმართველოს უფროსისა და მინისტრის სამდივნოს უფროსისა (რომელიც წარმოადგენს უფროსს დიპლომატიურ თანამდებობებს), სხვა დანარჩენი თანამდებობრივი პოზიციები არის უმაღლესი დიპლომატიური თანამდებობები.და მათთან მიმართებით უფრო ლოგიკურია, რომ არსებობდეს თანამდებობაზე დანიშვნის მოცემული საგამონაკლისო მექანიზმი. უმცა, დაკისრებული უფლებამოსილების გათვალისწინებით, როდესაც სამმართველოს უფროსისა და სამდივნოს უფროსის კომპეტენცია ძირითადში შემოიფარგლება საქმიანობის საერთო კოორდინაციით და არა გადაწყვეტილებათა ფორმირების/ მიღების პროცესით — გარკვეულ კითხვებს შეიძლება ბადებდეს. განსხვავებული მიდგომების დანერგვის აუცილებლობა.

- **იდენტიფიცირებული პრობლემა, რომლის გადაჭრა საკანონმდებლო წინადადების მიზანია:** დიპლომატიურ სამსახურში დასაქმებაზე არაგონივრულად განსაზღვრული გამარტივებული მექანიზმი.

სავარაუდოა ალბათ, რომ საერთაშორისო და რეგიონალური სტანდარტების გათვალისწინებით, დისკრიმინაციის ერთ-ერთ ელემენტად შეიძლება გამოიყოს განსხვავებული მოპყრობის **ობიექტური ან გონივრული განმარტების არსებობა.** ამასთან, გავეცანი კანონპროექტებზე თანდართულ მთელ რიგ განმარტებით ბარათებს, რომლებიც არ შეიცავს უკონკურსოდ დანიშვნის მიზნებს და დასაბუთებას. ☐ემოხსენებულის გათვალისწინებით, სასურველი იქნებოდა საჯარო სამსახურის თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის და დისკრიმინაციის შესაძლო ფაქტების აღმოფხვრის მიზნით, დიპლომატიური სამსახურის შესახებ საქართველოს კანონში (მე-18 მუხლი) შესულიყო ცვლილება, რომლის მიხედვითაც უფროს დიპლომატიურ თანამდებობზე დანიშვნა აღარ მოხდებოდა უკონკურსოდ ან მათ მიმართ უკონკურსოდ დანიშვნის დროს განისაზღვროს იგივე მოთხოვნების არსებობა, რაც ამავე თანამდებობაზე კონკურსის დანიშვნის შემთხვევაში შესაძლებელია ყოფილიყო.

<u>მუხლი 13. უფროსი დიპლომატიური თანამდებობები</u>

+

უფროსი დიპლომატიური თანამდებობებია:

ა) სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე;

ბ) საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი;

გ) საერთაშორისო ორგანიზაციასთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის მოადგილე;

$г_1$) საერთაშორისო ორგანიზაციასთან საქართველოს წარმომადგენლის მოადგილე;

$г_2$) მინისტრის სამდივნოს უფროსი;

დ) სამინისტროს დეპარტამენტში შემავალი სამმართველოს უფროსი;

ე) უფროსი მრჩეველი;

ვ) კონსული;

ზ) მრჩეველი;

თ) თავდაცვის ატაშე და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი;

ი) პოლიციის/უსაფრთხოების ატაშე და მეკავშირე ოფიცერი;

კ) (ამოღებულია - 15.07.2020, №7031);

ლ) ევროჯასტში მეკავშირე პროკურორის დამხმარე.

. **საკანონმდებლო წინადადების ავტორი:**

- საქართველოს მოქალაქე ნიკოლოზ ნიკოლაძე, პირადი ნომერი [redacted]

- რეგისტრირებული.: [redacted] საფოსტო ინდექსი[redacted]ელ. ფოსტა: [redacted] მობ.: [redacted]



01/0/2023